„დინამო“ (თბილისი) – „შახტიორი“ (დონეცკი) 2:1 (0:0)

თბილისი. 7 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, ჟორდანია (გოგრიჭიანი, 58), ცვეიბა, სულაქველიძე, ჟვანია, გურული, ქეცბაია (შენგელია, 65).

„შახტიორი“: ელინსკასი, დრაგუნოვი, სოპკო, გოშკოდერია, პარხომენკო, ოლეფვირენკო, იაშჩენკო, გერასიმეცი (რადენკო, 69), იურჩენკო, სმოლიანინოვი, გრაჩოვი (სოკოლოვსკი, 89)

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი)

გააფრთხილეს გრაჩოვი.

უღიმღამო პირველი ტაიმის ფონზე, როცა ორივე გუნდის ფეხბურთელები საკმაოდ ინერტულად მოქმედებდნენ, მეორე ნახევარი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. მართალია, შეცდომები ამ 45 წუთის განმავლობაშიც იყო, მაგრამ შედარებით მაღალმა ტემპმა რამდენიმე სახიფათო მომენტმა და, რაც მთავარია, გატანილმა გოლებმა ტრიბუნები საგრძნობლად გამოაცოცხლა.

თბილისელთ რიგებში ამჯერადაც ვიხილეთ ახალი ფეხბურთელები: 19 წლის თემურ ქეცბაია, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატის პირველი შეხვედრა ჩაატარა ძირითად შემადგენლობაში, აგრეთვე გუნდში დაბრუნებული ვაჟა ჟვანია.

როგორც უკვე აღინიშნა, მეორე ტაიმში თბილისელები გაცილებით მაღალ ტემპში, ენერგიულად იბრძოდნენ. ცალკე გამოყოფას იმსახურებს ჭედიას აქტიურობა. იგი მთელი 90 წუთის მანძილზე ბევრს მოძრაობდა და დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა.

თბილისელებმა მხოლოდ ასეთი აქტიურობის ხარჯზე მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. ერთ-ერთი შეტევის შემდეგ სტუმრებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს, კუთხურიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში ყველას გურულმა დაასწრო და ძლიერი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 82-ე წუთზე გოშკოდერიას დარტყმის შემდეგ ბურთი თბილისელთა რომელიღაც მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მასპინძელთ კარში აღმოჩნდა (1:1), მაგრამ თბილისელები ამან ვერ გატეხა: საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე შენგელიამ კიდევ ერთხელ აიღო ელინსკასის კარი და „დინამოს“ მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა - 2:1.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ.

გია გურული. „შახტიორთან“ თამაში ყოველთვის ძნელ ბრძოლაში მიმდინარეობს, გამონაკლისი არც ახლა იყო. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ შევძელი ანგარიშის გახსნა და ჩემი წვლილი შევიტანე სერთო გამარჯვებაში. იმ ეპიზოდში, როცა

გოლი გავიტანე, ყველაფერი კარგად გამომივიდა: ბურთის ტრაექტორიაც სწორად გამოვიანგარიშე, ნახტომიც მაღალი გამომივიდა და დარტყმაც ზუსტი.

რამაზ შენგელია. 65-ე წუთამდე ბრძოლას, ასე ვთქვათ, გარედან ვადევნებდი თვალს და კარგად ვხედავდი, რომ დონეცკელ მცველთა გადაადგილებები, პოზიციური თამაში ყოველთვის უშეცდომო არ იყო. როცა მინდორზე გამოვედი, სწორედ ის აზრი მიტრიალებდა, რომ მეტოქის დაცვაში დარჩენილი ღია „დერეფნები“ გამომეყენებინა. მატჩის ბოლო წუთებზე, როცა მინდვრის სიღრმიდან პასი მივიღე, ვიგრძენი, რომ მცველი ბურთს ვერ უსწრებდა, დავასწარი, მეკარესთან პირისპირ აღმოვჩნდი და გოლის გატანა არ გამჭირვებია.

9.06.1987